ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1173691

ნომერი: AR1203749

თარიღი : 12.03.2014

გაცემის თარიღი : 18.03.2014

გაცნობის თარიღი : 18.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩიკვილაძე პ/ნ 01001013965
- გლდანი, I მ/რ, კორპ.23, ბინა 58

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ტქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან სამსახურის მიერ №653374 10.05.2013წ. გადაწყვეტილებით საპროექტო (საკად. კოდით №01.17.12.060.008) და მის მომიჯნავე (საკად. კოდი №01.17.12.060.006) მიწის ნაკვეთებზე, მათი გაერთიანების პირობით გაიცა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ამჟამად კი ითხოვთ ერთ–ერთ მათგანზე (საკ.№01.17.12.060.008) ავტოსამრეცხაოს მოწყობას, გაცნობებთ, რომ საჭიროა აღნიშნული მიწის ნაკვეთის განვითარება მოხდეს ზემოაღნიშნული №653374 გადაწყვეტილებით გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.